პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 იანვარი შაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი

№ 9 (14309)

ᲐᲔᲠᲬᲔᲛᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ

რუსთავი. (საკ. კორ.). კარგად იშრომეს შარშან ამწესამშენებლო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა. მათ წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ათასობით მანეთის პროდუქცია.

წარმატებით დაიწყეს ახალი წელი ამწემშენებლებმა. ერთი კვირის დავალება შესრულებულია 100,7 პროცენტით.

წელს ამწემშენებლებმა 8.200 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა გამოუშვან. ეს იქნება ამწე ხიდურები და ხიდურების სათადარიგო დეტალები.

კვლავ მოწინავეთა რიგებში დგას მექანიკური საამქრო. განსაკუთრებით აქტიურად შრომობენ ზეინკალი რ. ხარაიშვილი, შემკრები გ. დავითულიანი, მემონტაჟე გ. რატია.

14 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ

ბათუმი. (საკ. კორ.). გასულ წელს ბათუმელი მანქანათმშენებლები აქტიურად გამოეხმაურნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და თბილისის მოწინავე საწარმოთა ინიციატივას და ჩაებნენ დიადი თარიღის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრეს გადიდებული ვალდებულებები.

ხუთწლედის მესამე წელი საწარმოს კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა. აქ გასულ წელს 14 ახალი მანქანის ნიმუში დამზადდა. ეს არის ჩაის, ღვინისა და საკონსერვო მრეწველობისათვის განკუთვნილი მანქანები.

ᲙᲣᲗᲜᲚᲔᲚᲘ — ᲕᲐᲠᲯᲘᲚᲝᲑᲘᲗᲘ

ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ — ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

ტყიბული. (საკ. კორ.). როგორც ყოველთვის, ახლაც ახალი შრომითი აღმავლობით დაიწყო ახალი წელი სტალინის სახელობის შახტმა (ხელმძღვანელი გ. რაზმაძე). ხუთწლედის მეოთხე წლის პირველი სამუშაო დღიდან შახტის ურნალზე ციათობს წითელი ვარსკვლავი — მეშახტეთა შრომითი გამარჯვების სიმბოლო.

გავიდა დაძაბული შრომის პირველი კვირა. აქაურმა მეშახტეებმა ახალი სამეურნეო წლის ანგარიშში გეგმის გადამეტებით უკვე ამოიღეს 95 ტონა „შავი ოქრო". ყველაზე მაღალ შედეგს აღწევს ის საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც გამოცდილი სამთოელი მ. ვერულაშვილი ხელმძღვანელობს. იანვრის პირველი 7 დღის გეგმა უბანმა 104,3 პროცენტით გაანაღდა.

შახტის ადმინისტრაციამ იანვრის პირველ დღეებში მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ღონისძიება გაატარა. ორი ნაკლებად რენტაბელური საექსპლოატაციო უბნის ბაზაზე შექმნა ერთი, გამსხვილებული უბანი, რომელიც ყოველდღიურად 400 ტონაზე მეტ საკოქსი ქვანახშირს იძლევა. იანვარში კიდევ უფრო დაჩქარდა ახალი, მეოთხე სამთოველის მომზადება. მალე აქ პირველი საექსპლოატაციო უბანი შეუდგება სათბობის მოპოვებას.

ლენინურ ვაგზალზე დგანან და მაღალნაყოფიერად შრომობენ კომპლექსური ბრიგადები, რომლებსაც ცნობილი მეშახტე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ლანჩავა და სახელგანთქმული გამყვანი ჯ. გოგელაშვილი ხელმძღვანელობენ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲕᲐᲮᲬᲖᲔ



ᲩᲘᲜᲑᲣᲚᲘ მაჩვენებლებით დასრულა გასული წელი ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის" კოლექტივმა. წლის განმავლობაში მოპოვებულია 18 ათასზე მეტი ტონა მაღალხარისხოვანი ქვანახშირი გეგმის გადაჭარბებით, ამასთან მნიშვნელოვნად შემცირდა ქვანახშირის თვითღირებულება.

განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს პირველი, მესამე და მეექვსე მაღაროს კოლექტივებმა.

მარტო ახალგაზრდულმა კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც ნოდარ ფარულავა ხელმძღვანელობს 100 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ქვანახშირი მოიპოვა გეგმის გადაჭარბებით.

სურათებზე: № 6 მაღაროს ახალგაზრდული კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, კომკავშირელი ნოდარ ფარულავა; ქვანახშირის გადასაზიდი სამაგრო გზები.

ფოტო ბ. სოკოლოვისა. (საქდისის ფოტოქრონიკა).

მთავარია სწავლების მაღალი ხარისხი

მომავალ სასწავლო წელს, ზამთრის არდადეგების შემდეგ, სკოლებში განახლდება მეცადინეობა და დაიწყება 1968-1969 სასწავლო წლის მეორე ნახევარი.

დიდად პასუხსაგებია პერიოდი, რომელიც წინ უდევთ ჩვენს სკოლებს, სახალხო განათლების ორგანოებს — ეს არის ცოდნისათვის მომდინარე სასწავლო წლის დიდი ლაშქრობის მეორე ეტაპი. ცოდნის შეძენა, მეცნიერების საფუძვლების დაუფლება მოსწავლის უპირველესი საზრუნავია და, მაშასადამე, სკოლის მთავარი ამოცანაა. კარგი ყოფაქცევა, წესიერი აღზრდა, მაღალი იდეალებისა და მისწრაფებათა გამომუშავება განუყოფელია სწავლების პროცესისაგან. ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ქვაკუთხედია ბრძოლა იმ ცოდნის დაუფლებისათვის, რაც კაცობრიობას შეუძენია.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ხაზს უსვამდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს რეგიონ ახალგაზრდობას მთლიანი რევოლუციური მსოფლმხედველობა, ავთენტიკურ ინფორმაციებზე დაფუძნებული, ვასწავლოთ გადაჭიოს კომუნიზმი პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ.

როდესაც ცოდნის განუწყვეტელი მიღებისადმი სწრაფვა მოთხოვნილებად გადაიქცევა, ახალგაზრდას მუდამ შეეძლება კვალდაკვალ მისდევდეს ცხოვრებას განვითარების ყველა მაღალ ეტაპზე თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის დონის შესაბამისად.

სწავლასადმი, ცოდნის შეძენისადმი მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გაზრდას, საერთოდ, სკოლაში სწავლების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას ისახავს მიზნად თუნდაც ამ ბოლო ხანს დაწესებული ჯილდოები საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის, კერძოდ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება ვერცხლის მედლების გაუქმებისა და მათ ნაცვლად ქების სიგელების შემოღების შესახებ „ცალკეული საგნების შესწავლაში განსაკუთრებული წარმატებებისათვის". ჩვენი გაზეთის მკითხველებს განვმარტათ ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობა და, საერთოდ, ოქროს მედლებით და ზემოაღნიშნული ქების სიგელებით მოსწავლეთა დაჯილდოების წესი და დაჯილდოებულ მოსწავლეთა პრივილეგიები.

საკითხი ოქროს მედლების შესახებ მუდამ დიდმნიშვნელოვნად ითვლებოდა სკოლაში. ამას მეტად სერიოზული ყურადღება დაეთმობა ამიერიდანაც იმ ანგარიშით, რომ ოქროს მედლები მხოლოდ ღირსეულთ მიეცეთ.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ობიექტური, მიუდგომელი გამოცდები მუდამ ნათლად წარმოგვიხატავს როგორც მოსწავლეთა ცოდნის დონეს, ისე საშუალო სკოლებში საგნების სწავლების ხარისხს. სახიამოვნოა, როცა ოქროს მედალოსანი ამართლებს საშუალო სკოლაში მიღებულ მაღალ შეფასებას ცოდნისას და მაღალ ჯილდოს. ეს ფაქტი ჭეშმარიტად სახიხარულია იმ სკოლისათვისაც, სადაც წარჩინებული მოსწავლე სწავლობდა, მაგრამ განსაკუთრებით დიდია ის დამსახურებული სიამაყის გრძნობა, რაც საგნის მასწავლებელს ეუფლება, თავისი ყოფილი მოსწავლის გამარჯვების ამბავს რომ გებულობს. ხოლო ასეთი ფაქტიანადმი ინერტულად განწყობილი მასწავლებელი, რომლისთვისაც სულ ერთია — გაამართლებს მისი მოსწავლე დაწერილ მაღალ ნიშანს თუ ვერა, არ შეიძლება ღირსეულ პედაგოგად ჩაითვალოს.

მასწავლებელთა, პედაგოგიური კოლექტივების დიდი, დაძაბული მუშაობის შედეგია ის, რომ თბილისის კომსომოლის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატში, თბილისის 42-ე, 64-ე, 87-ე, 91-ე, 122-ე, 123-ე და 115-ე, ქუთაისის პირველი და მეორე, ფოთის მეორე და მეხუთე, სოხუმის მეორე და მესამე, ბათუმის მერვე და მეათე, ცხინვალის მე-20, რუსთავის მე-18, გორის მე-8 და მე-11 და რესპუბლიკის სხვა საშუალო ზოგადსაგანმანათლებო სკოლებში სწავლების ხარისხი სულ უფრო და უფრო უმჯობესდება და მოსწავლეთა ცოდნის დონეც მაღლდება. აღნიშნული სკოლების კურსდამთავრებულები მაღალ მომზადებას ავლენენ. ცხადია, ხალხის თვალში ეს სკოლები, სამართლიანად დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობენ.

გაუფრთხილდეს სახელს — სკოლისათვის ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე გამრთელება და აღდგენა გატეხილისა. სამარცხვინოა სკოლისათვის — გაუუქმონ პედსაბჭოს გადაწყვეტილება მედლის მინიჭების შესახებ. ასეთი ფაქტები კი, თუმცა ერთეული, მაგრამ ღრმად დამაფიქრებელი, მაინც გვაქვს რესპუბლიკაში. საქართველოს პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ იცის ამ ფაქტების შესახებ, მით უფრო, რომ მასზე და, საერთოდ, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საკითხებზე სპეციალურად იმსჯელა ამას წინათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ.

მასწავლებელი სახელმწიფოს წარმომადგენელია მოსწავლეთა როგორც სწავლა-აღზრდის, ისე ცოდნის შეფასების საქმეში. ნიშნის დასმა უნდა გავიგოთ როგორც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე, და აქ მასწავლებელი ყველა სხვა მოსაზრებაზე მაღლა უნდა აყენებდეს სახელმწიფოს ინტერესებს. სახელმწიფოს ინტერესებს პატივს უნდა სცემდეს თვით მოსწავლე; მას უნდა შეეგანებინოთ, რომ ბეჯითი სწავლა, გულმართლობა ეს უპირველესი საზღაურია ამ ამგვარა, რასაც მას და მილიონობით მისთანებს უწევს საბჭოთა სახელმწიფო.

ჩვენ გვინდა ბავშვი, მოსწავლე — ჭაბუკი და ქალიშვილი კარგად სწავლობდეს, ცოდნას ეუფლებოდეს, იმის ჩვენებს იმუშავებდეს, რომ ეს ცოდნა პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოადგეს. როგორ შეიძლება ასეთი მოთხოვნილების დროს მასწავლებლები პასუხისმგებლობით არ უდგებოდნენ მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას!

ადგილობრივი პარტიული კომიტეტები, რომლებიც მეტად დიდსა და სასარგებლო შრომას ეწევიან სახალხო განათლების საჭიროებათა საკითხების მოსაგვარებლად, უფრო მეტი ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ აგრეთვე სკოლებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას. არა მარტო პედაგოგიური საზოგადოებრიობისათვის, არამედ მშობლებისთვისაც მეტად სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ ამ დღეებში გორის რაიონის პარტიული აქტივის კრება მიეძღვნა პარტიული ორგანიზაციის ამოცანების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაეხმარება რაიონის სკოლების მუშაობაში. გორის პარტიული ორგანიზაციის მაგალითი ერთეული როდია.

ჩვენს პედაგოგიურ არსებლში არსებული ყველა გონიერი იარაღი უნდა მოვიმარჯვოთ ახლა იმისათვის, რომ ავამაღლოთ საშუალო ზოგადსაგანმათლებლო სკოლაში სწავლების ხარისხი, მაღლა ავწიოთ მოსწავლეთა ცოდნის დონე. აქ არ შეიძლება ერთი მოხდენილი ფრაზა არ გავიმეოროთ კარგი მასწავლებელი აგრეთვე განაგრძობს თავის თავს, თავის ცოდნას თავის კეთილ თვისებებს თავისი აღსაზრდელების გულსა და გონებაში. და არაფერია ამ კეთილ მისიაზე უფრო კეთილშობილური.

მაშ ვამძლავრთო, მეგობრებო, ცოდნისათვის დიდი ლაშქრობა!

სამშობლო, პარტია, ხალხი, რომლებიც ესოდენ განუზომლად ბევრს ზრუნავენ მოზარდი თაობის აღზრდის უკეთესშობილესი საქმისათვის, სკოლისაგან მოითხოვენ მუშაობის მაღალ დონეს.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს საუკეთესო ტრადიციების მქონე სკოლები შეძლებენ მათ წინაშე დასმული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას — კიდევ უფრო აამაღლებენ მოსწავლეთა სწავლების ხარისხს.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

სკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის შეხვედრა. სკკპ დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი. გერმანიის კომუნისტური პარტიის დელეგაციას მეთთურობდა ვერმანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მაქს რაიმანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის კომპარტიის დელეგაციებმა, ნათქვამია კომუნიკეში შეხვედრის შესახებ, ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებსა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე, აგრეთვე განიხილეს ორი მოძმე პარტიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის კომპარტიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იმპერიალისტური წრეები კვლავ ამწყვეტენ საერთაშორისო დაძაბულობას, აძლიერებენ გამაღლებულ ფიარაღებას, აატეხენ ძირგამომთხრელ საქმიანობას სოციალიზმის ქვეყნების, მსოფლიო დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. შექმნილი ვითარება მოითხოვს, რომ მშვიდობის, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალიზმის ძალები იჩენდნენ დიდ სიფხიზლეს და თავიანთ ღონისძიებებს ათანხმებდნენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და გერმანიის კომპარტია ერთხელ კიდევ უცხადებენ სოციალრაზმის ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას. ისინი მხარს უჭერენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოზიციას, მტკიცედ მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატების თავარმისაგან შეწყვეტოს აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და გერმანიის კომპარტია სოლიდარობას უცხადებენ არაბული ქვეყნების ხალხთა ბრძოლას ისრაელის აგრესიის შედეგების აღმოფხვრისა და ახლო აღმოსავლეთის კრიზისის ღიკვიდაციისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის საფუძველზე.

დელეგაციებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ დასავლეთ გერმანიის რევანშისტული და მილიტარისტული წრეების პოლიტიკა და მოქმედება კვლავაც მთავარი ფაქტორია ევროპაში არსებული დაძაბულობისა. ორივე პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ძალიან ძლიერდება ნეონაცისტური საფრთხე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა სოლიდარობა გამოუცხადეს დასავლეთგერმანელ კომუნისტთა და დასავლეთ გერმანიის ყველა კეთილი ნების ადამიანის ბრძოლას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის. ორივე პარტია მტკიცედ მოითხოვს გერმანიის კომპარტიის აკრძალვის გაუქმებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის კომპარტიის დელეგაციებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა სოციალიზმის პოზიციების შემდგომი განმტკიცება ჩეხოსლოვაკიაში, რაც შეესაბამება მთელი სოციალისტური თანამეგობრობის, ეფორიის უშიშროებისა და მშვიდობის საქმის ინტერესებს. ისინი მხურვალედ უსურვებენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიას წარმატებებს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და დეკემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებაში.

ორივე დელეგაციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსოფლიო რეაქციის, ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიულ მიზნებისა და ნინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, იმ მთავარი ძალის შემდგომ შეკავშირებას, რომელსაც შეუძლია მსოფლიო დაიცვას ომისაგან, ჩაფუშოს იმპერიალიზმის ანტიხალხური გეგმები. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის კომპარტიას მიაჩნიათ, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების მომავალი თანმირი დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს მთელი კომუნისტური და ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირების განმტკიცების საქმეში, და მზადყოფნას გამოთქვამენ ყოველი ღონე იხმაროონ თანმირის წარმატებით მოწყობისათვის.

გერმანიის კომპარტიის დელეგაციამ მაღალი შეფასება მისცა იმ წვლილს, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შეაქვს ბრძოლაში მშვიდობის დაცვისა და საერთაშორისო რეაქციის აგრესიული მიზნების მხილებისათვის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განმტკიცებისათვის.

შეხვედრამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, აღნიშნულია დასასრულ კომუნიკეში, ჩაიარა სრული ურთიერთგაგების, გულახდილობისა და გულითადობის ვითარებაში.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲜᲐᲫᲕᲘᲡᲮᲔᲕ!

10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ კრემლის ყრილობათა სასახლეში უკანასკნელად გაისმა საახალწლო მუსიკა, ქვეყნის თავარი ნაძვისხის გარშემო უკანასკნელად გაიმართა მხიარული ფერხული. დღეს ტყის მშვენება დაემშვიდობა გოგონებსა და ბიჭუნებს.

— ახალ შეხვედრამდე! გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებით სწავლას! — ასეთი სიტყვებით გაიცალა ბავშვები თოვლის პაპამ.

12 დღეს „შუკაშებდა „კრემლის ნაძვისხე. ამჯერად საახალწლო დღესასწაული კრემლში ყველაზე ხალხმრავალი იყო — მას დაესწრო 50 ათასზე მეტი ბავშვი. 150-ზე მეტი მსახიობი მონაწილეობდა წარმოდგენებში. თოვლის პაპების ვეტერანი — რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ა. ხვილია ამ როლში უკვე მეთხუთმეტჯერ გამოვიდა.

კრემლის ნაძვისხემ ჩააქრო თავისი ჩირაღდნები. მაგრამ მისი უმცროსი დები კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში და ლუენიში ბავშვებს სიხუქრებს დაურიგებენ 12 იანვრამდე.

მოსკოვი.

(საკდისის კორ.).

ᲡᲙᲙᲞ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ

პრაღა, 9 იანვარი. (საკდისი). ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. დუბჩეკმა დღეს მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. თ. კატუშევის მეთაურობით, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში იმყოფება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

ა. დუბჩეკს, კ. თ. კატუშევს, დელეგაციის სხვა წევრებს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი. დელეგაციამ მადლობა გადაიხადა, რომ მიიწვიეს ჩეხოსლოვაკიაში და გააცნეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. დელეგაციის წევრებმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი ჩეხოსლოვაკიაში მოგზაურობისა და იმ შეხვედრების შესახებ, რომლებიც ჰქონდათ პარტიული ორგანოების მუშაკებთან, მშრომელებთან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში.

ა. დუბჩეკმა აღნიშნა, რომ დელეგაციის ჩამოსვლამ ხელი შეუწყო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეგობრული ურთიერთობისა და კონტაქტების, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

შეხვედრაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ს. ვ. ჩერვონენკო.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲗᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ „ᲕᲔᲜᲔᲠᲐ-6"

პლანეტა ვენერას უფრო სრული შესწავლისა და პლანეტის შესახებ დიდი მოცულობის მეცნიერული ინფორმაციის მიღების მიზნით საბჭოთა კავშირში 1969 წლის 10 იანვარს 8 საათსა და 52 წუთზე მოსკოვის დროით გაუშვეს ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური „ვენერა-6".

სადგური „ვენერა-6" განახორციელებს მეცნიერულ კვლევას სადგურ „ვენერა-5"-თან ერთად, რომელიც 1969 წლის 5 იანვარს გაუშვეს. ავტომატური სადგური „ვენერა-6" ჩენლეცა უნდა დაეშვას ატმოსფეროში პლანეტის ღამის მხარეზე, ისევე როგორც სადგური „ვენერა-5". ორი საპლანეტათშორისო სადგურის ერთად ფრენა შესაძლებელს გახდის განისაზღვროს ატმოსფერის პარამეტრები პლანეტის სხვადასხვა რაიონში.

სადგური „ვენერა-6" პლანეტა ვენერას მიაღწევს 1969 წლის მაისის შუა რიცხვებში.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის წონა მატარებელი რაკეტის უკანასკნელი საფეხურის ჩათვლელად შეადგენს 1.130 კილოგრამს. ავტომატურ საპლანეტათშორისო სადგურ „ვენერა-6"-ზე არის საბჭოთა კავშირის ვიმპელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბარელიეფითა და სსრ კავშირის სახელმწიფო გერბის გამოსახულებით. ავტომატური სადგურის „ვენერა-6"-ის გაყვანის სქემა ფრენის ჰელიოცენტრულ ტრაექტორიაზე სადგურ „ვენერა-5"-ის გაყვანის სქემის ანალოგიურია.

საპლანეტათშორისო სადგური „ვენერა-6" გავიდა ფრენის გაანგარიშებულ ტრაექტორიაზე. რადიოკავშირი სადგურთან და მეცნიერული ინფორმაციის მიღება წარმოებს 922,763 მეგაჰერცი. სიხშირით. პლანეტისაკენ ფრენის საერო სიზუსტის მისაღებად გათვალისწინებულია მოეწყოს სადგურის ფრენის ტრაექტორიის კორექცია.

1969 წლის 10 იანვარს 14 საათზე სადგური „ვენერა-6" იყო დედამიწიდან 65.6 ათას კილომეტრზე დედამიწის ზედაპირის -ის წერტილის თავზე, რომლის კოორდინატებია აღმოსავლეთის გრძედის 98 გრადუსი და 47 მინუტი და ჩრდილოეთის განედის 17 გრადუსი და 41 მინუტი.

ამ დროისათვის „ვენერა-5" იყო დედამიწიდან ერთ მილიონ სამას ოთხმოცდათერთმეტი ათას კილომეტრზე.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებთან, საცდელების „ვენერა-5"-ისა და „ვენერა-6"-ის ატმოსფეროს ნორმალურად მუშაობს.

საპლანეტათშორისო ავტომატური სადგურების ფრენის მართვა ხორციელდება შორი კოსმოსური კავშირის ცენტრიდან.

საკორდინაციო - გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲒᲐᲜ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ IV, V და VI მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის XVIII, XX და XXI ყრილობების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის წევრი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, სამეცნიერო-საკვლევი საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი

ᲑᲔᲟᲐᲜ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘᲡ-ᲫᲔ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲒᲐᲜ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა ტიპური და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-საკვლევი-საპროექტო ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერის ბ. ვ. ლორთქიფანიძის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები თ. კ. ქუთათელაძე (თავმჯდომარე), ი. ნ. ჩხენკელი, ი. თ. ურუშაძე, ა. გ. ჭურდიანი, მ. კ. გარაყანიძე, ვ. ვ. ბერიძე, ი. ნ. ცეცეშვილი.

ბ. ვ. ლორთქიფანიძის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

კაირო, 10 იანვარი. (საკდისი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუშინ გვიან საღამოს გამოაქვეყნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კრების 8 იანვრის არჩევნების შედეგები.

ამ მონაცემების თანახმად, არჩეული აღმოჩნდა 319 ოფიციალური კანდიდატი არაბთა სოციალისტური კავშირისაგან და არაბთა სოციალისტური კავშირის 11 წევრი, რომლებიც დამოუკიდებლად გამოდიოდნენ. ათ საარჩევნო ოლქში, რომლებშიც კიდევ 20 დეპუტატი უნდა აირჩიონ, 13 იანვარს მოეწყობა განმეორებითი არჩევნები, რადგან კანდიდატებმა, რომლებიც კენჭს იყრიდნენ ამ ოლქებში, ვერ მოაგროვეს ხმის საჭირო მინიმალური რაოდენობა.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნულ კრებაში არჩეულთა შორის არის არაბთა სოციალისტური კავშირის უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტის 3 წევრი, 10 მინისტრი, არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის 7 წევრი, არაბთა სოციალისტური კავშირის პროვინციულ ორგანიზაციათა 6 მდივანი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სხვა თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები.

ᲡᲘᲠᲮᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ ᲭᲘᲐᲜᲣᲠᲓᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 10 იანვარი. საკდისის კორესპონდენტი ნ. პახომოვი გვაცნობებს:

მესამე დღეა სასამართლო ვერა და ვერ შეუდგა საქმის არსებით განხილვას სირხან ბ. სირხანის გასამართლების გამო, რომელსაც ბრალად ედება სენატორ რ. კენედის მკვლელობა. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო სისტემის მეთხებით განსასჯელის ადვოკატების განკარგულებაშია მრავალი ფანდი და ისინიც განაგრძობენ პროცესის გაჭიანურებას.

დაცვა ცდილობს გააუქმოს ადრე სირხანისათვის გამოტანილი ბრალდება „წინაგანზრახულ და წინასწარ დაგეგმილი" დანაშაულის გამო იმ საბაბით, რომ გამომძიება რ. კენედის მკვლელობის საქმის გამო „არაობიექტურად მიმდინარეობდა". ბრალდებულის მთავარმა ადვოკატმა კუპერმა, კერძოდ, განაცხადა, რომ დიდი ეიურის შემადგენლობა, რომელმაც ეს ბრალდება გამოიტანა, „არაობიექტურად შერჩეული".

ცხადია, რომ სირხანის ადვოკატებს ორი მიზანი აქვთ. აჭიანურებენ რა პროცესის დაწყებას, ისინი ამავე დროს ცდილობენ სირხანს წაუყენონ გადასინჯული ბრალდება, რომ მან გაუზარახელი მკვლელობა ჩაიდინა „მეურაცხადობის მდგომარეობაში". ეს დაცვას საშუალებას მისცემდა ბრალდებული ეცნოთ „ფსიქიკურად და გონებრივად არასრულფასოვნად", რაც ავტომატურად იხსნიდა მას სიკვდილის განაჩენისაგან.

ამრიგად, ლოს-ანჯელესში კვლავ გრძელდება სპეროცედურო საკითხების განხილვა, ხოლო გასამართლება როგორც ასეთი სამი სხდომის შემდეგ არ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

სწავლობენ კომუნისტები

Ქუთაისის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისა და მეცადინეობის მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე წარმართვისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პოლიტიკური განათლების ქსელის სწორად დაკომპლექტებას.

კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების სურვილის, მათი პოლიტიკური განათლების დონისა და შეაძლებლობათა გათვალისწინებით ქალაქის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან შეიქმნა და 1 ოქტომბრიდან მეცადინეობას შეუდგა 25 დაწყებითი პოლიტსკოლა, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი 202 სკოლა, 199 თეორიული და პრობლემური სემინარი, 103 სკონსულტაციო ჯგუფი. უფრო ადრე, 1 სექტემბრიდან მეცადინეობა განსაზღვა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში. ამჟამად ჩვენს ქალაქში მარქსისტულ-ლენინურ თეორიას ეუფლება და პარტიული განათლების სხვადასხვა რგოლში სწავლობს 11.074 კაცი.

მეცადინეობის დაწყებას წინ უძღოდა პროპაგანდისტთა კადრების სწორად შერჩევა და გადამზადება, პროპაგანდისტთა მუდმივ-მოქმედი საქალაქო სემინარები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, შესაბამისი ლიტერატურის გამოვენა და, ბოლოს, პროპაგანდისტთა საქალაქო შეკრება.

ახლა სრული საფუძველით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქუთაისში ორგანიზებულად მიმდინარეობს ლენინური სწავლების წელი.

პოლიტიკური სწავლების დღეს ყოველთვის გამოცოცხლებაა ს. ორჯონიკიძის სახელობის საგგზომბრელო ქარხანაში. აქ მსმენელები საამქროებიდან პირდაპირ სამეცადინო ოთახებს მიაშურებენ. მეცადინეობებს ყოველთვის მიმზიდველად და მიზანდასასულად ატარებენ პროპაგანდისტები — ქარხნის მთავარი მეტალურგიის განყოფილების უფროსი რ. მაჩიტაძე, ინჟინერ-ტექნოლოგი მ. ქორიძე, კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი მ. ლომთათიძე, ქარხნული თანამშრომლობა. აღნიშნული საკითხების განმარტებისას პროპაგანდისტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გარეშე და შინაურმა კონტრრევოლუციამ, ანტისოციალისტურმა ძალებმა განიზრახეს დაერღვიათ ჩვენოსლოვაკიის მუშათა კლასის ერთიანობა, შეეტყიათ ჩვენოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელი როლი და საბოლოო ანგარიშით მოეწყვიტათ ჩვენოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა სოციალისტური თანამეგობრობისათვის.. ყოველივე ამის შედეგად, საფრთხე შეექმნა ამ ქვეყანაში სოციალიზმის მონაპოვრებს.

საბჭოთა კავშირის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ერთობლივმა ღონისძიებებმა ჩაშალა საერთაშორისო კონტრრევოლუციის ეს ვარაუდი და მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყო, რომ მსოფლიო სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა მზად არის დაიცვას თავისი რევოლუციური მონაპოვრები, ამიტომ — დაასკვნის პროპაგანდისტი, — თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალიზმის სისტემის მთელი ძალების შემდგომ შემჭიდროებასა და დარაზმულობას.

ამავე თემაზე მსმენელთა წინაშე საინტერესო მიმოხილვითი ლექციით გამოვიდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლის პროპაგანდისტი, ქარხნის მთავარი ბუღალტერი ს. ფხაკაძე.

ასევე ორგანიზებულად მიმდინარეობს მეცადინეობა აბრეშუმის კომბინატის, საკონსერვო მინის ტარის ქარხნების, № 4 სამგორელო და მაუდის ფაბრიკების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ სკოლებში, თეორიულ და პრობლემურ სემინარებში, საკონსულტაციო ჯგუფებში.

ყოველივე ამის მიუხედავად პარტიული განათლების ქსელის მუშაობაში კვლავ ვხედავთ ნაკლოვანებებს. მაგალითად, „საქელეტრომონტაჟის“ ქუთაისის სამმართველოში ერთ-ერთი მეცადინეობა არ შემდგარა პროპაგანდისტის მიელინებაში ყოფნის გამო, ხოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ი. ზუტაშვილს თავიდანვე არ უზრუნია შემცველი პროპაგანდისტისათვის. კაგშრკაბშულობის საქალაქო კვანძის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელ სკოლაში ადგილი აქვს მსმენელთა მიერ მეცადინეობის უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევებს. შემოწმებით გამოვლინდა ისიც, რომ ზოგიერთი პროპაგანდისტი არ იყენებს თვალსაჩინოების მასალებს და საჭირო მონდომებით არ ეკიდება დაკისრებულ საპატიო მოვალეობას.

სერიოზული ყურადღება ექცევა კომკავშირული პოლიტიკური განათლების ქსელისადმი დახმარებასა და ხელმძღვანელობას. პოლიტიკური განათლების კაბინეტთან შეიქმნა და მუშაობს კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელის პროპაგანდისტთა მეთოდური საბჭო. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ადრევე დაამტკიცა კომკავშირული ქსელის პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი საქალაქო სემინარების ხელმძღვანელები. მზადდება საქალაქო მეთოდური კონფერენცია, რაც დიდად შეუწყობს ხელს ახალგაზრდა პროპაგანდისტული კადრების მეთოდურ დახელოვნებას, პროპაგანდისტული მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებას.

პროპაგანდისტთა შემდგომი დაოსტატებისა და კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური სწავლების უკეთ დაყენების მიზნით პოლიტიკური განათლების კაბინეტი ხშირად აწყობს პროპაგანდისტთა მეთოდურ კონფერენციებს სწავლების ცალკეული რგოლების მიხედვით, აგრეთვე თეორიულ კონფერენციებს, ლენინური კითხვის საღამოებს. ამას წინათ საინტერესოდ ჩაიარა თეორიულმა კონფერენციამ თემაზე: იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავება კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის თანამედროვე ეტაპზე. მზადდება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საქალაქო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია.

ლენინური სწავლების წელი განსაკუთრებით დიდი ამოცანების წინაშე აყენებს პოლიტიკური განათლების კაბინეტის მუშაკებს. ჩვენი მოვალეობაა შემდგომ ავამაღლოთ კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების სწავლების იდეური დონე და შინაარსი, შევქმნათ ყველა პირობა სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვისათვის.

ბ. ფრუიძე.

საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე.

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ. (საქ. კორ.). საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომმა შექმნა პროპაგანდისტთა უნივერსიტეტი, რომელიც სრულყოფს პროპაგანდისტთა დახელოვნებას, იდეურ წრთობას.

უნივერსიტეტის მორიგ მეცადინეობაზე საინტერესო ლექციები წაიკითხეს ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა. ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა გ. ჩხეიძემ წაიკითხა ლექცია თემაზე — „ლენინიზმი და თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლა“, ხოლო ფილოსოფიის კათედრის გამგემ გ. ცანავამ თემაზე — „ლენინური ეტაპი მარქსისტულ ფილოსოფიაში“.

დებულება კონკურსისა საუკეთესო კინოსცენარებზე

3. ი. ლენინის დაბადების 100 და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით

1. 3. ი. ლენინის დაბადების 100 და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი და საქართველოს მწერალთა კავშირი აცხადებენ კონკურსს საუკეთესო ორიგინალურ კინოსცენარზე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისათვის.

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ახალი მნიშვნელოვანი მაღალიდეური და მხატვრულად სრულყოფილი კინონაწარმოებების შექმნას, რომლებიც ასახავენ ლენინიზმის ისტორიულ გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში, ქართველი ხალხის ბრძოლას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის, ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობას და იმ ღრმა ცვლილებებს, რომლებიც მოხდა ადამიანთა შეგნებაში წარსულთან დაძაბული ბრძოლის, შთაგონებული შრომისა და შენების ნახევარი საუკუნის მანძილზე.

კონკურსზე წარმოდგენილი თანამედროვე თემაზე დაწერილი კინოსცენარები უნდა მიეძღვნას საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემებს, კომუნიზმის მშენებლობის ახლანდელი ეტაპის ძირეულ საკითხებს და აქტიურად უნდა ამკვიდრებდნენ ლენინურ, კომუნისტურ იდეებს, ცხოვრების საბჭოური წესის პრინციპებს, სოციალისტური საზოგადოების მაღალ ზნეობრივ იდეალებს. ამ სცენარების საფუძველზე შექმნილი მხატვრული სახეები მისაბაძ მაგალითს უნდა წარმოადგენდეს ფართო მაყურებლისა და, პირველ რიგში, ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

2. კონკურსის ჩასატარებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი და საქართველოს მწერალთა კავშირი ქმნიან ხაორგანიზაციო კომიტეტსა და ჟიურის.

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებს შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც ისტორიულ-რევოლუციური, ისე თანამედროვე თემატიკის ნებისმიერი ჟანრის კინოსცენარები.

4. კინკურსი მეყობა ორ ტურად. პირველ ტურში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს. კონკურსის პირველ ტურში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა 1969 წლის 1 მარტამდე უნდა წარმოადგინონ ლიბრეტო, რომელშიც განსაზღვრული იქნება ნაწარმოების თემა, ჟანრი, სიუჟეტური სქემა და მოქმედ გმირთა ხასიათის მთავარი ნიშნები.

კონკურსის პირველ ტურში მონაწილეობის მისაღებად ავტორებს შეუძლიათ წარმოადგინონ აგრეთვე (ლიბრეტოს უფლებით) მზა კინოსცენარის ერთ-ერთი ვარიანტი.

ჟიურის არჩევანის გაფართოებისა და კონკურსის თემატიკის მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად დასაშვებია, თუ კონკურსის პირველი ტურის მონაწილენი წარმოადგენენ ლიბრეტოებს რამდენიმე სხვადასხვა თემაზე.

5. კონკურსის ჟიური განიხილავს პირველი ტურის მონაწილეთა მიერ წარმოდგენილ ლიბრეტოებს და ორი კვირის ვადაში შეარჩევს მათგან მეორე ტურში მონაწილეობისათვის არა უმეტეს ათ საუკეთესო ლიბრეტოს.

6. კონკურსის მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად შერჩეულ ავტორებს ეძლევათ შემოქმედებითი შვებულება 6 თვემდე და ამ ხნის განმავლობაში უოველთვიური დახმარება 200 მანეთის ოდენობით, საშტატო თანამდებობის შენარჩუნებით (უხელფასოდ) ამ დაწესებულებებში, სადაც ისინი მუშაობენ.

7. კონკურსის მეორე ტურის მონაწილეებს, საჭიროების შემთხვევაში, მათი თანხმობით, 3 თვის ვადით მიემაგრებათ როგორც დამდგმელი რეჟისორები, ისე სხვადასხვა დარგის სპეციალისტ-კონსულტანტები, რომლებსაც ხელფასს აუნაზღაურებს კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი.

8. სცენარები, რომლებზეც უკვე დადებულია ხელშეკრულებები კინო ან სატელევიზიო სტუდიებთან, საკონკურსოდ არ მიიღება.

9. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექცია კონკურსის ჟიურის მიერ მეორე ტურისათვის მოწონებული ლიბრეტოების საფუძველზე ყველა ავტორთან დადებს ხელშეკრულებებს. ავტორებთან ანგარიშსწორება მოხდება საერთოდ დადგენილი წესის მიხედვით.

10. მეორე ტურში მონაწილე ავტორებსა და მათთან მიმაგრებულ დამდგმელ რეჟისორებს შესაძლებლობა მიეცემათ მოგლინებულ იქნან რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში სათანადო მასალების შეგროვებისათვის. კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი დაეხმარება მათ აგრეთვე სანატორიუმებისა, დასასვენებელი და შემოქმედებითი სახლების საგზურებით შეძენაში.

11. კონკურსის მეორე ტურისათვის შერჩეული ათი ავტორის გარდა კინოსტუდია „ქართული ფილმი“, სათანადო განხილვის შემდეგ, სცენარების დასაწერად ხელშეკრულებას დაუდებს ავტორებს, რომელთა ლიბრეტოები თავიანთი იდეურ-მხატვრული ღირსებებით მიჩნეული იქნებიან პერსპექტიულად.

12. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექცია, მეორე ტურში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული ათი ავტორის გარდა, შუამდგომლობას აღძრავს ჟიურის წინაშე პრემიების მინიჭებისას განხილულ კონკურსის პირველ ტურში წარმოდგენილი ლიბრეტოების საფუძველზე შექმნილი ის სცენარებიც, რომლებიც შემდგომ მუშაობის შედეგად „თავისი მაღალი იდეურ-მხატვრული ღირსებებით დაკმაყოფილებენ დებულებებით გათვალისწინებულ პირობებს და მოწონებულ იქნება სტუდიის მიერ 1969 წლის 1 სექტემბრამდე.

13. კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია სამი პრემია:

ერთი პირველი პრემია	6.000 მანეთის ოდენობით
ერთი მეორე პრემია	3.000 მანეთის ოდენობით
ერთი მესამე პრემია	2.000 მანეთის ოდენობით

გარდა ამისა, დასადგმელად მოწონებულ ყველა სცენარში, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექციის მიერ მათი საბოლოოდ მიღების შემდეგ, ავტორები მთლიანად მიიღებენ მონორარს მათთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

14. კინოსცენარების წარმოდგენის საბოლოო ვადად 1969 წლის 1 სექტემბერი.

15. მასალები კონკურსისათვის უნდა გამოიგზავნოს კონკურსის ხაორგანიზაციო კომიტეტის მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი. კონვერტზე აღინიშნოს: „კინოსცენარების კონკურსზე“.

მასალები წარმოდგენილი უნდა იქნეს 4 ეგზემპლარად, მანქანაზე გადაბეჭდილი ორი ინტერვალით.

16. კონკურსზე წარმოდგენილი მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

17. კონკურსის მეორე ტურის შედეგებს ჟიურიი შეაჯამებს და გამოაცხადებს პრესაში.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲜ ᲡᲢᲠᲘᲥᲘᲐᲖᲔ

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, ძლიერი გრიგალი თითქმის ნ დღეს მძვინვარებდა დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში.

გუშინ ჩვენ ვიუწყებოდით იმ სიმამაცისა და დარაზმულობის შესახებ, რაც სტიქიასთან ბრძოლაში გამოიჩინეს ქალაქ ქუთაისის, ტყიბულისა და ზუგდიდის რაიონების მშრომელებმა, მოსახლეობამ, მთელმა ხალხმა.

დღევანდელ წერილში გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტები მკითხველებს მოუთხრობენ იმ მწარე შედეგებზე, რაც სტიქიას მოჰყვა დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში. აქვე ნაამბობია ადგილობრივი მოსახლეობის თავდადებაზე სტიქიასთან ბრძოლაში, აგრეთვე იმ დახმარებაზე, რასაც დაზარალებულ რაიონებს უწევენ საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანები, მთელი ჩვენი მოსახლეობა.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ

მეგობრების ერთი ფურცელი

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (საქ. კორ.). ამას წინათ უჩვეულო გამოცოცხლება იყო ამბროლაურის სასოფლო - სამეურნეო ტექნიკუმში. აქ მოსწავლეთა მოწვეეკრთ ხამ დღეს ხტუმრად იმყოფებოდნენ მოძმე უკრაინის ფეტომირის ოლქის სოფელ იარუნის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მესამე კურსის მოსწავლეები.

კულტურის სახლში მასპინძლებმა და ქალაქის საზოგადოებრიობამ სტუმრებს მოუწყეს საზეიმო შეხვედრა. სალამო გახსნა ტექნიკუმის დირექტორმა ზ. მესხმა. სტუმრებს მიესალმნენ და გულთბილი სიტყვით მიმართეს პედაგოგმა ა. ტურძილაძემ, მოსწავლეებმა ვ. ბობეკიშვილმა, ვ. პეტრუშევსკაიამ და ნ. ლომთათიძემ. მათ ილაპარაკეს ამის შესახებ, თუ როგორ ეუფლებიან ახალგაზრდები სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას.

უკრაინელმა სტუმრებმა, ტექნიკუმის დირექტორმა ი. ლაგოსკინმ, კურსის ხელმძღვანელმა, ტექნიკუმის პარტიულის მდივანმა მ. ზნატკოვამ, მოსწავლეებმა ს. პრობინჩუკმა, გ. ბოლადომ და ი. მამაინჩუკმა თავიანთ ქართველ კოლეგებს მოუთხრეს სასწავლო-აღმზრდელობითის გეგმებზე, თავიანთ გამოცდილებაზე.

უკრაინელებმა დაათვალიერეს ღირსშესანიშნავი ადგილები. ინახულეს „შაორის ზღვა“, ნიკორწმინდის უნიკალური ტაძარი, გაეცნენ სამთო-მეტალურგიულ კომბინატს, დაათვალიერეს ისტორიული ბარაკონი და „მინდაციხე“, იყვნენ ხვანჭკარის ღვინის ქარხანაში.

უკრაინელებმა ქართველი მასპინძლები სოფელ იარუნში მიიწვიეს.

ეი უკრაინისა და საქართველოს მეგობრობის კიდევ ერთი ფურცელი.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ

სოციალისტური საკუთრების განმტკიცების საკითხებისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ, (საქ.ეს). გაიმართა თეორიული კონფერენცია თემაზე „სოციალისტური საკუთრების განმტკიცების ამოცანები კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე“. კონფერენცია მოაწყვეს პარტიის ზუგდიდის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ლექტორთა ჯგუფმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული აქტივი, სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის მუშაკები, ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მეუნარგიამ.

მოისმინეს მოხსენებანი: პროფესორ ვ. ფარქოსაძისა — „დამონისტრაციული ორგანოების როლის ამაღლება სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში“, დოცენტ ვ. ლორიასი — „სოციალისტური საკუთრება საბჭოთა კავშირის ეკონომიკის საფუძველია“, პროფესორ გ. ერემოვისა — „სახალხო კონტროლის ორგანოები სოციალისტური საკუთრების სადარაჯოზე“, დოცენტ ნ. წერეთლისა — „საქორწინო-სამოქალაქო კანონმდებლობის ახალი საფუძვლები და სოციალისტური საკუთრება“, პროფესორ ნ. ლომსაძისა — „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლები სოციალისტური საკუთრების დაცვისა და განმტკიცების შესახებ“.

რუსთავი — ჩერკასი

რუსთავი. (საკ. კორ.). ტრადიციულად იქცა ქალაქების რუსთავისა და ჩერკასის მეგობრობა და ურთიერთკავშირი.

რუსთაველთა დელეგაცია ახლახან დაბრუნდა ჩერკასიდან. დელეგაციის მეთაურმა რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. სოფრომაძემ თქვა:

— ჩერკასში ჩვენი დელეგაციის გამგზავრების მიზანი ის იყო, რომ მონაწილეობა მიგვიღო ფაშისტური გერმანიისგან ჩერკასის განთავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში.

ჩერკასის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჯმირუფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისაკენ.

დასასრულ, პროპაგანდისტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ყველა მსმენელი გულდასმით კითხულობდეს ლენინის შრომებს, უშუალოდ მიმართველეს პირველ წყაროს და რომ ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადდას უნდა ვუპასუხოთ ლენინური იდეური მემკვიდრეობის ღრმა შესწავლით.

ორგანიზებულად მიმდინარეობს პოლიტიკური სწავლება ელექტრომექანიკური ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში. აქ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პროპაგანდისტი შ. კოსტაკა, რომელიც მეოთხე წელია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელ სკოლას ხელმძღვანელობს. ამას წინათ პროპაგანდისტმა შ. კოსტაკამ მორიგი მეცადინეობა მიუძღვნა თემას: „მეუნრნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემა“. მან საინტერესოდ და დამაჯერებლად გამაუკეთა საკითხები: სოციალიზმის გადაქცევა მეუნრნეობის მსოფლიო სისტემად. სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის ეკონომიური საფუძვლები, ეკონომიკური ინტეგრაციის ობიექტური საფუძვლები, ინტერნაციონალური ურთიერთდახმარება, ინტერნაციონალური ურთიერთდამოკიდებულება

ბ. ვ. ლორთქიფანიძე



ქართველ არქიტექტორთა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. შემოქმედებითი გაფურჩქვნის ასაკში გარდაიცვალა რესპუბლიკაში ქალაქთმშენებლობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ბეჟან ვლადიმერის-ძე ლორთქიფანიძე.

ბ. ლორთქიფანიძე დაიბადა თბილისში 1908 წელს პედაგოგის ოჯახში. 1932 წელს საქართველოს საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა ასისტენტად არქიტექტურის კათედრაზე და რეალური დაგეგმარების ბიუროს დამპროექტებლად.

ახალგაზრდა ხუროთმოძღვარის პირველივე პროექტებმა მაშინვე მიიპყრეს სპეციალისტების ყურადღება. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მთელი რიგი ქალაქების დაგეგმარების პირველი „გენერალური პროექტების" დამუშავებაში. ბ. ლორთქიფანიძის ნამუშევრები არაერთგზის ყოფილა პრემირებული.

დიდი სამამულო ომის წლებში ბ. ლორთქიფანიძე მოქმედ არმიაში. მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე აღინიშნა რამდენიმე საბრძოლო ორდენითა და მედლით.

ომის დამთავრების შემდეგ ბ. ლორთქიფანიძეს აწინაურებენ ხელმძღვანელად სამუშაოზე რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში. ლრმა ცოდნა, დიდი ერუდიცია ხელს უწყობდა დაკისრებულ პასუხსაგებ ამოცანათა შესრულებაში.

1949 წლიდან 1957 წლამდე ბ. ლორთქიფანიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილეა, შემდეგ კი მუშაობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახმშენის თავმჯდომარის მოადგილედ. 1958 წელს იგი დაინიშნა საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარედ და ექვსი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ დიდმნიშვნელოვან უბანს.

1963 წლიდან ბ. ლორთქიფანიძე სათავეში ჩაუდგა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ უველაზე მნიშვნელოვან საკავშირო საპროექტო დაწესებულების — თბილისის ზონალურ სამეცნიერო-კვლევითს და ტიპობრივი დაპროექტების ექსპერიმენტულ ინსტიტუტს. ბ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით ინსტიტუტის კოლექტივმა გადაწყვიტა მშენებლობისა და დაგეგმარების მთელი რიგი თეორიული და შემოქმედებითი საკითხები.

საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირს რომ ხელმძღვანელობდა, ბ. ლორთქიფანიძემ დიდი მუშაობა გასწია ახალგაზრდა ხუროთმოძღვართა აღსაზრდელად. იგი არაერთხელ ყოფილა საბჭოთა არქიტექტორების წარმომადგენელი საერთაშორისო კონგრესებზე.

ბ. ლორთქიფანიძე არაერთხელ იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის სარეგიზიო კომისიის წევრად, იგი იყო რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი.

ბ. ლორთქიფანიძე გამოირჩეოდა იშვიათი თავმდაბლობით, უბრალოებით, მაღალი მოქალაქეობრივობით. ბ. ლორთქიფანიძის ნათელი ხსოვნა, ხსოვნა ქართული არქიტექტურის თვალსაჩინო მოღვაწისა, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და ძალღონე მოახმარა ხალხისა და პარტიის საქმეს, მუდამ იცოცხლებს მისი ამხანაგების გულში.

ვ. პ. მეტავანაძე, ბ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუნიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, ბ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ბანუკვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუბაბა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ზ. ვ. გელდიაშვილი, ნ. გ. გომელაური, ე. მ. ჯაფარიძე, ა. მ. ლაბახუა, ვ. მ. სირაძე, მ. მ. ლელაშვილი, ზ. ა. კვაბაძე, ვ. ვ. ბერიძე, შ. ე. ბუხრაშვილი, გ. ს. ვაშაკიძე, მ. კ. გარაყანიძე, ო. გ. თუხარელი, ა. ზ. ლომინაძე, ა. მ. ნიკოლაიშვილი, ა. ნ. საბაშვილი, ლ. ზ. სუმბაძე, ა. გ. ქურდიანი, თ. კ. ქუთათელაძე, ი. ნ. ციციშვილი, ვ. ზ. ჩხეიძე, ი. ნ. ჩხენკელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს სსრ სახმშენის სამშენებლო-არქიტექტურული საბჭოს წევრი, თბილისის ტიპური და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-საკვლევი საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი

ბეჟან ვლადიმერის-ძე ლორთქიფანიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობა, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, თბილისის ტიპური და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-საკვლევი საპროექტო ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი

ბეჟან ვლადიმერის-ძე ლორთქიფანიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბ. ვ. ლორთქიფანიძის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიისაგან

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის ბ. ვ. ლორთქიფანიძის პანაშვიდი გაიმართება განსვენებულის ბინაზე — გერცენის ქუჩა 1ა, 11 იანვარს საღამოს 7 საათზე.

გამოსვენება 12 იანვარს დღის 3 საათზე ბინიდან.

დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

სამხედრო-პატრიოტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის

საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები კომკავშირულ ორგანიზაციებთან და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების კომიტეტებთან ერთად ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებენ მშრომელებისა და ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის.

მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას სერიოზულ ყურადღებას უთმობს ქუთაისის ავტოქარხნის პროფკავშირული კომიტეტი. საწარმოში სპორტულ-ტექნიკურად იმართება შეხვედრები რეკორდსმენებს, ვეტერანებთან, დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან. ახალგაზრდობას ფართოდ განუმარტავენ კანონს საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ, სკკპ XXIII ყრილობის მასალებს სსრ კავშირის თავდაცვითი ძალიერების ზრდის შესახებ.

ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის კარგად მუშაობენ მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის, ამირეკავკასიის № 1 „მეტალურგშენის" ტრესტის, თბილისის ელექტროლამპის, მ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებლის, № 2 ავტოსატრანსპორტო კანტორის, რუსთავის ქიმიური კომბინატის პროფკავშირული კომიტეტები, თბილისის ეროფლოტის კლუბი, ბულგროფლის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის სახლი.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის საკითხი და ამასთან აღნიშნა, რომ მთელი რიგი პროფკავშირული კომიტეტები მთლიანად ვერ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს, არ სრულყოფენ რეკლოფიციურ-საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე ახალგაზრდობის აღზრდის ფორმებსა და მეთოდებს.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დასახა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში პროფკავშირული კომიტეტების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

(საქდესი).

ქოლუნისტი

მე-8 გვერდი, შაბათი, 11 იანვარი, 1969 წ.

მოთავლის კარგი პერსპექტივები

პრეს-კონფერენცია პარიზში

პარიზი, 8 იანვარი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ მუშაობა დამთავრა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური თანამშრომლობის მუდმივმოქმედი შერეული „დიდი კომისიის" მესამე სესიამ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიშელ დებრემ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ა. კირილინმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში კი დ' ორსეზე გამართეს პრეს-კონფერენცია.

სამინისტროს დიდი კონფერენც-დარბაზი გაჭედილი იყო მსოფლიოს დიპლომატიური საელჩოების, საფრანგეთისა და უცხოელების კორესპონდენტებით, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებით. პრესა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს „დიდი კომისიის" მესამე სესიის მუშაობას, რომლითაც აღინიშნა შემდგომი ეტაპი საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის და ურთიერთგაგების განმტკიცებაში.

გახსნა რა პრეს-კონფერენცია, **მიშელ დებრემ** დაწვრილებით ილაპარაკა სესიის შედეგების შეჯამების შესახებ. მან ხაზი გაუსვა, კერძოდ, რომ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ერთობლივი მეცადინეობა საშუალებას აძლევს მათ წლითიწლობით განამტკიცონ ორი ქვეყნის თანამშრომლობა მრეწველობის, ტექნიკის, მეცნიერების დარგში, თანამშრომლობა, რომელიც ნორმალურად ვითარდება, როგორც ბილატერალურ საფუძველზე, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობაში გაჩნდა. ახალი დარგი — ჯანმრთელობის დაცვა და მედიცინა, აღნიშნა მინისტრმა.

მ. დებრემ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობას ბევრი ეგრეთვე პოლიტიკური ხასიათი. იგი სასარგებლოა ფრანგი ხალხისა და საბჭოთა ხალხისთვის, ეგრეთვე ხელს უწყობს უკეთესი ვითარების შექმნას ევროპაში. საქონლის გაცვლა და ცოდნის გაზიარება, ხაზი გაუსვა მან, — საუკეთესო პოლიტიკაა ევროპისათვის. მომავალი დაკავშირებულია განუწყვეტელ ღონისძიებებთან ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის, რაც დაძაბულობის შენელების საფუძველია.

„დიდი კომისიის" მუშაობა მიმდინარეობდა დიდი გულწრფელობის ატმოსფეროში. თქვა მიშელ დებრემ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ა. კირილინმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მოდმიმა კომისიამ დიდი მუშაობა გასწია და მისმა სესიამ წარმატებით ჩაიარა.

მან მადლობა გადუხადა საფრანგეთის მთავრობას მეგობრული ატმოსფეროს შექმნისათვის, აღნიშნა, რომ „დიდი კომისიისათვის" მეტად მნიშვნელოვანი იყო ყურადღება და ინტერესი, რაც პრეზიდენტმა დე გოლმა გამოიჩინა მისი მუშაობისადმი.

პრეზიდენტ დე გოლის ვიზიტმა საბჭოთა კავშირში, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის 1966 წლის 30 ივნისის დეკლარაციის ხელმოწერამ, ეგრეთვე საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხელმძღვანელთა შემდგომმა შეხვედრებმა, თქვა ვ. ა. კირილინმა, ხელსაყრელი პირობები შექმნა კომისიის მუშაობისათვის. ჩვენი აზრით, თქვა მან, ეს წარმატება იმით აიხსნება, რომ გამოინახა შერეული სამუშაო ჯგუფების საშუალებით მუშაობის კარგი ფორმები, ეგრეთვე განისაზღვრა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვანი თემები და მიმართულებანი.

ჩვენ, ხაზი გაუსვა დასასრულ ვ. ა. კირილინმა, სრული სათქმელი გვაქვს დადებითად მივიჩნიოთ შესრულებული მუშაობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ა. კირილინმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა მიშელ დებრემ, უპასუხეს რა ჟურნალისტთა შეკითხვებზე, აღნიშნეს, რომ კარგი პერსპექტივები ისახება სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.

ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 10 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში „პრესის თავისუფლების" ნამდვილი სახე კვლავ გამოვლინდა დეტროიტში, როცა პრესის ადგილობრივ კლუბში კენჭს უყრიდნენ ამერიკელი კომუნისტების გაზეთი „დეილი უორლდის" კორესპონდენტის უილიამ ალენის მიღებას კლუბის წევრად.

მიუხედავად იმისა, რომ ალენი ჟურნალისტად მუშაობს დეტროიტში 30-იანი წლების დამდეგიდან და ქალაქის პრესის ერთ-ერთი უველაზე ცნობილი მუშაკია, კლუბის გამგეობამ მეორედ მისცა ხმა მისი მიღების წინააღმდეგ იმ სანაბით, რომ ალენი ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წევრია.

კლუბის გამგეობის ამ გადაწყვეტილებამ ბევრი მისი რიგითი წევრის აღშფოთება გამოიწვია. გაზეთ „დეტროიტ ფრი პრესში" მომუშავე ათზე მეტმა ჟურნალისტმა ხელი მოაწერა პეტიციას, სადაც აცხადებენ, რომ გავლენ კლუბიდან, თუ გამგეობამ არ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება.

ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 10 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატებს დასავლეთ ნაწილში 8 ქალაქის რაიონში აღნიშნულია რადიოაქტიურობის მკვეთრი გაძლიერება ნივთიერ შტატში 1968 წლის 8 დეკემბერს მომხდარი მიწისქვეშა ატომური გამოცდის შემდეგ რადიოაქტიურ ნივთიერებათა გაპარვის შედეგად. ამას იუწყებიან ამერიკის ენერგეტიკულის დაცვის სამმართველოს წარმომადგენელნი. როგორც „ბალტიმორ პოსტი" აღნიშნავს, გადიდებული რადიოაქტიურობა შემჩნეულია ეგრეთვე კანადის ქალაქების მონრეალის, ოტავასა და ჰამილტონის რაიონში.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა **დაადასტურა, რომ** 8 დეკემბერს ატომური აფეთქების დროს მოხდა რადიოაქტიური ნივთიერებათა გადინება.

მსოფლიო ᲓᲦᲔᲡ

უცხოეთის დეკეშათა

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

სქემენტოები იუწყებიან

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲮᲔᲓᲠᲘᲝᲜᲘ ᲐᲠ ᲪᲮᲠᲔᲑᲐ

ᲯᲐᲜᲣᲐᲠᲘ, 9 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა მიერ ვიეტნამში ჩადენილი სამხედრო დანაშაულის გამომძიებელი კომისიის მონაცემებით, 1968 წლის დეკემბერში ამერიკის პილოტირებული და უპილოტო მზვერავი თვითმფრინავები 900-ჯერ შეიჭრნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში, რაც 800 თვითმფრინავ გაფრენით მეტია, ვიდრე ნოემბერში იყო.

დეკემბერში ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავებმა მოახდინეს 650 დასაზვერვო ფრენა 17-19 პარალელის რაიონში, 7 ფრენა — ჰანოის თავზე და 8 — ჰაიფონის თავზე. დეკემბერში ამერიკის ავიაციამ კვლავ ბომბავდა და ცეცხლს უშენდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხრეთ პროვინციებს. მოსახლეობაში არის მსხვერპლი. 9, 24 და 27 დეკემბერს ამერიკის თვითმფრინავებმა რვაჯერ დაუშინეს ცეცხლი ნგეანის პროვინციის მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს. 7 და 19 დეკემბერს ჰატინის პროვინციაში ჩამოადგეს საფანტიანი ბომბებით დატვირთული 4 ავიაფრეგატი და 2 რაკეტა. დეკემბრის 8 დღის განმავლობაში 30-ჯერ დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს კუანგბინის პროვინციის 20 თემს.

კომისია გადაჭრით პროტესტს აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა საომარი მოქმედების წინააღმდეგ, რომლებიც კვლავ ხელყოფენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და უშიშროებას.

Ვ. ᲠᲝᲨᲕᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲜ ᲑᲘᲣ ᲙᲘᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 9 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ვალდეკ როშემ მიიღო სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დელეგაციის მეთაური, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ჩან ბიუ კიემი.

მეგობრული შეხვედრის დროს ვალდეკ როშემ „განაცხადა, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტია საესებით სოლიდარულია ბრძოლა სამხრეთვიეტნამელი ხალხის ბრძოლასთან, რომელსაც განთავისუფლების ეროვნული ფრონტი ხელმძღვანელობს. საფრანგეთის კომპარტია უთუოდ დაუჭერს მხარს ვიეტნამელ ხალხს სრულ გამარჯვებამდე.

განთავისუფლების ეროვნული ფრონტის სახელით ჩან ბიუ კიემმა მადლობა გადაუხადა საფრანგეთის კომპარტიას ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის მხარდაჭერისათვის. განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დელეგაციის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფრანგ კომუნისტებსა და სამხრეთ ვიეტნამის კომუნისტებს და პატრიოტებს აერთიანებენ ინტერნაციონალიზმის ტრადიციები.

საუბარში მონაწილეობდნენ ეგრეთვე საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიროს წევრები ჟაკ დიუკლო, რაიმონ გიუიო, ჟორჟ მარშე, გასტონ პლისონიე და რენე პიკე.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲑᲔᲑᲘ. პოლიცია უხწორდება ზანგ სტუდენტებს.

ფოტო ჟურნალ „ჟი ნუოველდან".

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲒ

ᲚᲘᲛᲐ, 10 იანვარი. (საკდესი). სოძვრის ზრდის წინააღმდეგ ხელფასის მომატებისათვის, დემოკრატიული თავისუფლებებისა და ეროვნული სუვერენიტეტის დაცვისათვის ბრძოლის ლოზუნგებით გაიმართა პერუს მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელთა თათბირი.

თათბირს ესწრებოდნენ ეგრეთვე ამ კონფედერაციის წევრი ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლები. თათბირის მონაწილეებმა გადაჭრით მოითხოვეს, რომ პირველად გაეძევონ ამერიკის მონოპოლიები, კერძოდ, „ინტერნეიშენალ პეტროლეუმ კომპანი" და „სერო დე პასკო კოპერ კორპორეიშენი", რომლებიც ძარცვავენ მის სიმდიდრეს.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ისიდორო ვალმარამ, რომელიც დაბრუნდა ევროპიდან, სადაც ბერლინში მონაწილეობდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს მე-18 სესიაში და სსრ კავშირში — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51 წლისთავის ზეიმში. ი. ვალმარამ დამსწრეთ უამბო საბჭოთა კავშირის დიდ წარმატებებზე ცხოვრების ყველა დარგში და თქვა, რომ სულ უფრო იზრდება საბჭოთა ხალხის სოლიდარობა მსოფლიოს მშრომელებთან.

ᲣᲗᲐᲜᲮᲛᲝᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 10 იანვარი. (საკდესი). ერთა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრების მე-17 კონფერენციის გუშინდელი სხდომა, რომელზეც მიმდინარეობდა დისკუსია როდეზიის პრობლემაზე, აღინიშნა მკვეთრი უთანხმოებებით ინგლისსა და აფრიკის ქვეყნებს შორის ამ საკითხის გადაჭრის გზების გამო.

განხილვის მსვლელობაში არაერთხელ მოხდა შეჯახება ინგლისის წარმომადგენლებსა და თანამეგობრობის წევრი სხვა ქვეყნების დელეგაციებს შორის. აუსტრალიის პრემიერ-მინისტრმა გორტონმა მხარი დაუჭირა ინგლისის წინადადებებს, რომლებიც ითვალისწინებს სმიტის რეჟიმთან შეთანხმების მიღწევას. დამოუკიდებელი აფრიკის წარმომადგენლებმა, ეგრეთვე აზიისა და კარიბის ზღვის რაიონის მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციებმა გაიოცეს, ერთ-ერთ ინგლისის გემის წინააღმდეგ. მათი სიტყვით, ეს გემი არ შეესაბამება ზიმბაბვეს მკვიდრი მოსახლეობის ინტერესებს. თავიანთ გამოსვლებში მათ ხაზი გაუსვეს, რომ როდეზიის პრობლემის გადასაჭრელად ერთადერთი გზაა აფრიკელი უმრავლესობის მთავრობის შექმნა როდეზიაში ამ ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებამდე.

სხდომაზე აღძრეს ეგრეთვე სამხრეთ აფრიკაში მდებარე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა პრობლემები. კერძოდ, აღინიშნა, რომ საჭიროა ბრძოლა აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს.

ᲢᲠᲘᲣᲓᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲒᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 10 იანვარი. (საკდესი). გუშინ ლონდონში ჟურნალისტთა წინაშე გამოვიდა კანადის პრემიერ-მინისტრი ტრიუდო, რომელმაც კვლავ ეგრძნობინა მათ, რომ კანადა შეიძლება გამოვიდეს ნატოს ბლოკიდან. მან განაცხადა, არავის არ დავპირებივარ, რომ კანადა ნატოს წევრად გარკვეული დროით დარჩებაო.

კანადის მთავრობის მეთაურმა უკვე მეორედ უკანასკნელი კვირის მანძილზე კამათობდა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკიდან კანადის შესაძლო გამოსვლის შესახებ. ოდგინლობრივი პრესა აღნიშნავს, რომ ნატოსადმი კანადის დამოკიდებულება ერთ-ერთი მთავარი საკითხია, რომელსაც ახლა განიხილავენ ფარულად ამერიკულ ლონდონში მიმდინარე ერთა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრების კონფერენციაზე, რომლის მონაწილეა ტრიუდო. გაზეთები აღნიშნავენ ეგრეთვე, რომ ინგლისის მთავრობამ ზეგავლენა მოახდინა ტრიუდოზე, რათა გადასინჯოს თავისი პოზიცია.

ᲡᲐᲒᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ 10 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ეგოულოვი იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის 1969 წელი იქნება საგადასახადო ტვირთის გადიდების წელი.

გახსნა რა ნიუ-იორკის შტატის საკანონმდებლო ორგანოს სესია, გუბერნატორმა როკფელერმა თავის წერილში მოითხოვა გაადიდონ მიმდინარე წლის 1 აპრილიდან ორი პროცენტიდან სამ პროცენტამდე გადასახადი; საკონლის ვაჭრობაში და ხუთი პროცენტით შეამცირონ განათლების, სამედიცინო მომსახურების, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები.

საკონლის ვაჭრობაში გადასახადის ერთი პროცენტით გადიდება, აღნიშნავს გაზეთი „დეილი უორლდი" უველაზე მტკივნეულ გავლენას მოახდენს საშუალო და მცირეხელფასიან ამერიკელთა ოჯახებზე. მოელიან, რომ რეკომენდაციებს გადასახადების გადიდების შესახებ განიხილავენ და დამტკიცებენ კონექტიკუტისა და სხვა შტატების საკანონმდებლო კრებათა სესიებზე, რომლებიც უკვე გაიხსნა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახადების განუწყვეტელ ზრდას მოწმობს მონაცემები, რომლებიც გამოაქვეყნა კერძო საკვლევმა ორგანიზაციამ „ტაქს ფაუნდეიშენმა". მიმდინარე საფინანსო წელს, რომელიც 30 ივნისს მთავრდება, „საშუალო" ამერიკელის ოჯახი სნვადასხვა გადასახადის სახით გადაიხდის 870 დოლარით მეტს, ვიდრე წინა საფინანსო წელს.

ᲛᲮᲝᲚᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

● **პარიზი, 9 იანვარი. (საკდესი).** დღეს აქ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას მედიცინისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

ამ შეთანხმების შესაბამისად ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს განავითაროს და გააღრმაოს თანამშრომლობა მედიცინისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

● **სოფია, 9 იანვარი. (საკდესი). ბულგარულ ენაზე გამოვიდა ექვსტომიანი გამოცემის „სკკპ ისტორიის" პირველი ტომი. იგი მოიცავს პერიოდს 1883 წლიდან 1903 წლამდე. ეს ნაშრომი დასაბეჭდად მოამზადა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამომცემლობამ.**

● **რომი, 9 იანვარი, (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა იტალიის პროლეტარული მრეწველობის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კლუბში. ეს პირველი კლუბია პარტიის ამასწინანდელი ყრილობის შემდეგ, რომელიც ნეაპოლში გაიმართა. კლუბის მონაწილეებმა მრეწველობამ აირჩიეს ტულიო ვეკეტი იტალიის პროლეტარული მრეწველობის სოციალისტური პარტიის პოლიტიკურ მდივნად.**

● **ბუენოს-აირესი, 10 იანვარი. (საკდესი). ოფიციალური მონაცემებით 1968 წელს არგენტინაში 9,6 პროცენტით გაძვირდა ცხოვრება. ძირითადად — 15,9 პროცენტით გაძვირდა სურსათი. არგენტინის პროფკავშირები ამავე დროს აღნიშნავენ, რომ პესოს მყიდველობითი უნარი შარშან 40 პროცენტით შემცირდა.**

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲒ

ᲛᲮᲝᲚᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲒᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

ᲠᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ

საზღვარგარეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ახლო აღმოსავლეთში შექმნილ დაძაბულ მდგომარეობას, რაც გამოწვეულია ისრაელის განუწყვეტელი პროვოკაციებით არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ. ბულგარული „ნაროდნა არმია" წერს, რომ პასუხისმგებლობა ახლო აღმოსავლეთის კრიზისისათვის ეკისრება ისრაელის მთავრობას, რომელიც უგუნურ ავანტიურისტულ პოლიტიკას ეწევა. გაზეთი აღნიშნავს, რომ საშიში ხასიათი აქვს ისრაელის გაძლიერებულ მილიტარიზაციას, რომლის 1969-70 საფინანსო წლის სამხედრო ბიუჯეტი ერთიორად დიდდება.

საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების პრესა კვლავ უძღვნის კომენტარს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის შერეული „დიდი კომისიის" მე-3 სესიას, რომელიც პარიზში დამთავრდა.

ხაზს უსვამენ, რომ სესიამ წარმატებით ჩაიარა, რომ მისი შედეგები ცხადყოფენ ორი ქვეყნის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ნაყოფიერ განვითარებას. ბევრი მიმომხილველი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის კეთილსასურველი განვითარება ხელს უწყობს ევროპის მშვიდობის განმტკიცებას. **პოლონური „ტრიბუნა მაზოვეცკა"** წერს: „საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული საპარლამენტო ფრონტი, რომლის ლიდერია ყარამე, მოითხოვს თანამშრომლობის განმტკიცებას მომავე არაბულ ქვეყნებთან პოზიციების შეთანხმების მიზნით, რათა წინააღეუდგნენ ისრაელის მუქარას.

დღეს რაშიდ ყარამემ დაიწყო კონსულტაციები პარლამენტის დაჯგუფებათა და პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებთან ახალი მთავრობის შექმნის თაობაზე. პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში ყარამემ გამოთქვა სურვილი, რომ ახალი კაბინეტის შემადგენლობაში შევიდნენ პარლამენტის ის დეპუტატები, რომლებსაც „შეუძლიათ განახორციელონ ხალხის მოთხოვნები და მთელი პასუხისმგებლობით შეასრულონ თავიანთი მაღალი მოვალეობა საზოგადოების წინაშე".

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲜᲔᲜ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 10 იანვარი. (საკდესი). მინისტრთა ჯგუფის ერთდროულად გადადგომის გამო პანამაში მთავრობის კრიზისი დაიწყო.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტო იუწყება, მინისტრებმა წერილი გაუგზავნეს მმართველ სამხედრო ხუნტას, რომელშიც წერენ, რომ პროტესტს აცხადებენ კონსტიტუციურ გარანტიათა გაუქმების წინააღმდეგ. სამხედროებმა, რომლებმაც ხელთ იგდეს ძალაუფლება პანამაში 11 ოქტომბერს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, პირობა დადეს, რომ აღადგენდნენ მართვის კონსტიტუციურ ფორმას. მაგრამ ამ ბოლო დროს, ისინი აცხადებენ, რომ თავის დაპირებას არ

ჩვენს კრებ-ბუკლეტი

გვაცნობინებენ „კომუნისტის“ და საქდესის კორესპონდენტები

სკოლა 60 წლისაა

ᲘᲛ დღეს მაღალმთიანი სოფლის ღარიხევის დაწყებითს სკოლაში დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა. იქ იყვნენ ამ სკოლის მასწავლებლები, სოფლის მცხოვრებნი და ის ადამიანები, რომლებსაც სხვადასხვა დროს უსწავლიათ ამ სკოლაში და ახლა ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ კუთხეში უხდებათ სამშობლოსა და ხალხის წინაშე ვალის მოხდა. ისინი აქ მოვიდნენ, რათა ეზეიმათ ამ პატარა სკოლის დაარსების 60 წლისთავი.

ეს იყო ექვსი ათეული წლის წინათ. ამ მივარდნილ ადგილას, ისე როგორც სხვაგან, განათლების

ᲭᲐᲚᲐᲠᲐ „ᲒᲝᲒᲝ - ᲒᲘᲭᲔᲒᲘ“

სხივი ვერ აღწევდა. მეფის თვითმპყრობელობა ახშობდა ყოველივე ახალს. პროგრესულს. ხალხს კი სინათლე სწყუროდა... ამ სოფლის მკვიდრმა, აწ განსვენებულმა ქაიხოსრო ივანეს-ძე დეკანოსიძემ რამდენიმე წელი იწვალა ამ საკითხის მოგვარებისათვის. პირველ ხანებში სკოლა თვითონ გახსნა და მასწავლებელსაც 2-3 წელიწადს საკუთარ ფულს აძლევდა, ხოლო შემდეგ, როგორც იყო, მიიღო ნებართვა სკოლის გახსნისა, თუმცა ამის შემდეგაც დიდად ეხმარებოდა მატერიალურად.

...იფრქვევა სიხარულის ცრემლები, ჭადარა „გოგო-გიჭეგი“ ერთმანეთს ეხვევიან, ამბებს ეკითხებიან.

შეკრებას ხსნის ბაზალეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ო. ქვირიკაშვილი. იგი სიტყვას აძლევს საიუბილეო კომისიის თავმჯდომარეს პენსიონერ მასწავლებელს ნინო კამკამიძეს. მან დამსწრეთ მოაგონა სკოლის მიერ 60 წლის მანძილზე გავლილი გზა და, ბოლოს, საჩუქრად სასკოლო ბიბლიოთეკას გადასცა 700-ზე მეტი წიგნი.

მოგონებებით გამოვიდნენ ყოფილი მასწავლებლები ანგელინა ჭიპაშვილი, ირიადნა დეკანოსიძე, პირველი მოსწავლე შალვა ჭიპაშვილი და სხვები.

ამ პატარა სკოლის 60 წლისთავი დიდ ზეიმად გადაიქცა.

Ქ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ,
ორჯონიკიძის რაიონი.



ᲤᲝᲢᲝᲠᲐᲙᲐᲠᲐᲥᲢᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ



ᲐᲫ იწყება რუსეთი — ასე უწოდა თავის ორ ფოტოსურათს ახალი ამბების საგენტოს ფოტოკორესპონდენტმა ბ. კორობეინიკოვმა.

რატმანოვის კუნძული ბერინგის სრუტეში საბჭოთა ქვეყნის ყველაზე აღმოსავლეთი წერტილია. სულ ოთხიოდე კილომეტრი აშორებს მას ამერიკულ კრუზენშტერნის კუნძულს. აქ გადის თარიღების შეცვლის საერთაშორისო ხაზი. ერთსა და იმავე დღეს ორ მეზობელ კუნძულზე სხვადასხვა თარიღია. მაგალითად, თუ ამერიკის კუნძულზე 31 დეკემბერია, მაშინ საბჭოთა კუნძულზე 1 იანვარია.

აქ იწყება ახალი დღე, აქ იწყება რუსეთი.

რატმანოვის კუნძულზე ცხოვრობს და მუშაობს საბჭოთა ადამიანების პატარა კოლექტივი — პოლარელები და მესაზღვრეები. აქედან ყოველდღე გადაიცემა ეთერში მეტეოროლოგიური ცნობები, რომლებიც ეხმიდნენ საჭიროა მფრინავებისა და მეზღვაურებისათვის. როგორც ყველგან საზღვარზე, ფხიზლად ეწევიან თავიანთ სამსახურს საბჭოთა მესაზღვრეები.

რატმანოვის კუნძულზე უამრავი ფრინველი ბინადრობს. მის ნაპირებთან შეიძლება შეხვდეთ ვეშაპებსა და ლომვეშაპებს.

ზემო სურათზე — რატმანოვის კუნძული (მარჯვნივ) და კრუზენშტერნის კუნძული (მარცხნივ). ქვემო სურათზე — რატმანოვის კუნძულზე მეტეოროლოგიურ დაკვირვებას აწარმოებს ვალენტინა აბრამოვიჩი.

ᲣᲪᲝᲠᲔᲣᲚ კამჩატკაზე კი გაჩაღებულია ნადირობის სეზონი. წარმოებს ბეწვიანი ნადირის მოპოვება. მრავალი თვით წავიდნენ ტაიგაში ოლქის სამონადირეო მეურნეობათა კვალმაძიებელი მონადირენი. ახლა ისინი ნადირობენ სიასამურზე, ციყვსა და სხვა ბეწვიან ნადირზე.

ამ ფოტოსურათზე, (ზემოთ— მარჯვნივ) რომელიც გადაიღო ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტმა ლ. გარკავემ, აღბეჭდილია კამჩატკის წარჩინებული მონადირე სოფელ ესეს ევენკი ელისაბედ ადუკანოვა ნადირობისას.

წარსულ სეზონში მან მოიპოვა 70 სიასამური, 50 ციყვი, 30 ყარყუმი.

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲜᲔᲠᲔᲑᲘ

ᲣᲚᲘᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘ — ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ

ᲞᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

3. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ დაბადების 100 წლისთავისთვის მზადების დღეებში ზუგდიდის რაიონის ორჯონიკიძის საშუალო სკოლის კოლექტივმა მეგობრული კავშირი დაამყარა ულიანოვსკის ლენინის ორდენოსან პირველ საშუალო სკოლასთან, სადაც სწავლობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ამას წინათ ორჯონიკიძის საშუალო სკოლის კოლექტივმა ძვირფასი საჩუქარი მიიღო. ულიანოვსკის პირველი საშუალო სკოლის დირექტორმა ნ. სიოგინმა გამოგზავნა მოსწავლე ვლადიმერ ულიანოვის ქების სიგელის ფოტოპირი, სკოლის „ლენინის ოთახისა“ და ულიანოვსკის პირველი საშუალო სკოლის შენობის ფოტოსურათები. ამ ძვირფასი ექსპონატებით გამდიდრდა ზუგდიდის რაიონის ორჯონიკიძის საშუალო სკოლის „ლენინის ოთახი“.

ორჯონიკიძელმა მოსწავლეებმა ულიანოვსკელ მეგობრებს საპასუხოდ საახალწლო მილოცვა და საჩუქრები გაუგზავნეს.

ბ. ᲐᲚᲐᲜᲘᲐ.

ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐᲛ ᲘᲮᲡᲜᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡ-ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ავტობუსი, რომელსაც ზუგდიდის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლი ოქტაგინ ხოვაკი მართავდა, მგზავრებით სავსე მოემართებოდა ზუგდიდისაკენ. ხუთამის უღელტეხილის გადასასვლელთან, დამთრთზე მანქანას გაუტყდა მუხრუჭის მილაკი. ავტობუსის შეჩერება შეუძლებელი იყო. მძღოლი თვალნათლივ ხედავდა მოსაღოდნელ უბედურებას, მაგრამ უეცარმა შემთხვევამ რიღი დაბნია მამაცი და აზრიანი ადამიანი. მან თვალის დახამხამებაში მოხერხებულად გადაუხვია მარჯვნა მხარეს და ავტობუსი გადაეწინა ბუჩქნარებზე. ამით მანქანა და მასში მსხდომი მგზავრები დაღუპვას გადაარჩინა.

(„კომუნისტის“ კორ.).

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ ᲔᲖᲔᲔ ᲘᲥᲐᲚᲚᲐ

ᲙᲚᲐᲕ უღრუბლო ცა და მზიანი ამინდებია ჩვენს რესპუბლიკაში. დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ზამთრის მზემ იძალა ყინვაზე და სუსხი მოსპო, ქარებიც ჩადგა. ასე რომ კოლხიდის დაბლობზე დათბა. შავი ზღვის რეგიონიც ჩრდილო, ისე სამხრეთ სუბტროპიკულ რაიონებში დღისით აღინიშნა 10-13 გრადუსი სითბო, ღამით პლუს 2-5 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთებსა და ბარშიც კვლავ თოვლის ხქელი საბურველი დგას. დღისით, როცა მზე ჩახჩახებს, ბაერი თბება, მაგრამ თოვლს მთლიანად მაინც ვერ აღნობს. ამიტომ როგორც კი მზე გადაიწვერება, კვლავ ყინვა იწყებს ბატონობას. 9 იანვარს ღამით წალკაში იყო 28 გრადუსი ყინვა, გორსა და მუხრანში 14, თბილისში 11, საგარეჯოში 9, ბაკურიანში 13.

გუშინ დღის 12 საათზე გაგრაში, გუდაუთში, სოხუმში, ქობულეთსა და ბათუმში იყო 10 გრადუსი სითბო, ფოთში — 8, ზუგდიდში, სამტრედიასა და ქუთაისში — 9, შედარებით ყინვაგდა აღმოსავლეთ საქართველოში. ხაშურში აღინიშნა ერთი გრადუსი ყინვა, გორში, ბაკურიანში, გურჯაანში — 2, საგარეჯოში ნული გრადუსი. თბილისის ცენტრალურ ნაწილში, სადაც თოვლი დადნა, თერმომეტრი უჩვენებდა სამ გრადუს სითბოს — გარეუბანში კი ნულს.

11 იანვარს, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში კვლავ დათბება. სინოპტიკოსები ვარაუდობენ მზიან, უნალექო ამინდს, იქროლებს სუსტი ქარი, დასავლეთ საქართველოში დღისით იქნება +10-15 გრადუსი, ღამით 6-11 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მოსალოდნელია 1-5 გრადუსი სითბო, მთაში — 4 გრადუსი ყინვა, ერთი გრადუსი სითბო.

თბილისში 2-4 გრადუსი სითბო.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა საკდესის ცნობა ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის კურსანტთა დჯილდოების შესახებ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა ჯილდოთი. ეს ჯილდო — მედალი „მეგობრობა“ ბათუმელმა კურსანტებმა მიიღეს იმ დიდი მამაცობისა და თავგანწირვისათვის, რაც მათ გამოიჩინეს 1967 წლის ივლისში ვიეტნამელი მეზღვაურების გადარჩენისას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის კურსანტები **ᲑᲝᲜᲓᲝ ᲐᲑᲣᲨᲐᲫᲔ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲐᲜᲒᲕᲔᲚᲐᲫᲔ, ᲑᲝᲠᲘᲡ ᲑᲐᲑᲔᲚᲐᲫᲔ, ᲗᲝᲗᲐ ᲥᲝᲠᲘᲗᲘ** და **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲠᲐᲕᲐ** დჯილდოების შემდეგ.

ფოტო **ნ. ᲐᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡᲘᲐᲜᲘᲡ.** (საკდესის ფოტოკორესპ.).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲓᲒᲝᲛᲔᲑᲖᲔ...

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

● **ᲒᲠᲝᲜᲘᲜᲒᲔᲜᲨᲘ** იუნიორთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში შეჯიბრებას ოთხი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან — ვაგანიანი (სსრ კავშირი), მედერი (გერმანია), ფეედერაციული რესპუბლიკა), რიბლი (უნგრეთი) და უუბი (ინგლისი), რომლებსაც ხუთ-ხუთი ქულა აქვთ.

● **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ** ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატს ფინეთში აქვს. უკვე ცნობილი არიან ერთიანთა დასკვნითი ასპარეზობის მონაწილენი. ქალთა შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან მ. ჩუვირინა და ო. მოროზოვა, ვაკთა შორის — ვ. ბალმანი და ა. ივანოვი.

● **ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ** ფრენბურთელ ქალთა საკავშირო პირველობის მორიგი შეხვედრები. აი მათი შედეგები: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ირკუტსკი) 3:0, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი“ (კიევი) 3:2, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „ურალოჩკა“ (სვერდლოვსკი) 3:1.

ᲛᲔᲥᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲜᲔᲠᲔᲑᲘ

ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲝᲠᲘᲐ

ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ, 9 იანვარი. (საკდესის სპეციალური კორესპონდენტი, ყაზახეთის სსრ დამსახურებული მწვრთნელი ე. ბრაუნი). დღეს სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატზე ამთავრებდნენ გადადებულ პარტიებს. თამაშის განუახლებლად ყიმს დათანხმდნენ გროსმაისტერები ხოლმოვი და ლეონი.

ოსტატმა პოდგაიეცმა, რომელსაც მატერიალური უპირატესობა ჰქონდა გროსმაისტერ ავერბახთან გადადებულ პარტიაში, ვერ შეძლო უპირატესობის განაღდება და 64-ე სვლაზე პარტია ყაიმით დამთავრდა.

დაჟინებით ცდილობდა ზედმეტი პაიკის განაღდებას პარტიაში ჩერეპკოვთან ავრეთვე ვლადიმიროსტოკელი გროსმაისტერი ა. ზაიცევი. მაგრამ ვერც მან მიაღწია წარმატებას. ყაიმით დამთავრდა ავრეთვე პოლუგაევსკი-კლოვანის პარტია. პლატონოვის ავადმყოფობის გამო არ დამთავრებულა მისი პარტია ლუტიკოვთან.

დღეს თამაშობდნენ ავრეთვე მესამე ტურის გამოტოვებულ პარტიას ტალი და ციბულჩუკი. 28-ე სვლაზე გაიმარჯვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა.

ექვსი ტურის შემდეგ ლიდერობენ სახაროვი და ტალი, რომლებსაც ოთხნახევარ-ოთხნახევარი ქულა აქვთ. ლუტიკოვს 4 ქულა და ერთი დაუმთავრებელი პარტია აქვს, ვასიუკოვსა და პოდგაიეცს ოთხ-ოთხი ქულა.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ ᲧᲘᲜᲣᲚᲖᲔ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ სპორტის სასახლეში მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ფიგურულ ციგურაობაში.

როგორც ყოველთვის, დიდი ინტერესი გამოიწვია წყვილთა შეჯიბრებამ. საკალდებულო პროგრამის შემდეგ ყველაზე უკეთესი მდგომარეობა ჰქონდათ ჩვენი ქვეყნის ეკესეზნის ჩემპიონებს ლენინგრადელ ლ. ბელოუსოვასა და ო. პროტოპოპოვს, მაგრამ ნებისმიერი პროგრამით გამოსვლისას მათ შეცდომები დაუშვეს და იძულებული გახდნენ ვერცხლის მედლებით დაკმაყოფილებულიყვნენ.

ეს ჩემპიონატის სენსაცია იყო.

ᲝᲩᲠᲝᲡ მედლები მოიპოვეს ლენინგრადელებმა თ. მოსკვინამ და ა. მიშინმა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲨᲘ

ᲕᲐᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში წარმატებით იბრძვის კუნასის „ᲕᲐᲚᲒᲐᲠᲘᲡᲘ“. მორიგი ტურის მატჩი კაუნასელებს ჰქონდათ კიევში ადგილობრივი არმიის სასპორტო კლუბის გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 78:67. „ᲐᲮᲚᲐ ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲔᲚᲔᲑᲘ“ 7 ქულა აქვთ.

დღეს კალათბურთის მოყვარულები 5 მატჩის მოწმენი იქნებიან. ყურადღებას იპყრობს შეხვედრა კიევში „სტროიტელსა“ და ცსკა-ს შორის. მოსკოვის დინამოელები ითამაშებენ რიგაში სკა-სთან, ტარტუს „კალევი“ კი საკუთარ მოედანზე შეხვდება ვეფს. თბილისის „ბურევესტნიკს“ ლენინგრადში პაექრობა ექნება „სპარტაკთან“, თბილისის „დინამოს“ კი საკუთარ მოედანზე ალმა-ათის „ლოკომოტივთან“.

ᲛᲔᲡᲘᲥᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲓᲒᲝᲛᲔᲑᲖᲔ...

ᲠᲘᲝ-ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝᲓᲐᲜ იტყობინებიან: გასული საფეხბურთო სეზონი ბრაზილიის ნაკრებისათვის მზადების პერიოდი იყო. შარშან ბრაზილიელებმა უმაღლეს დონეზე 20 საერთაშორისო მატჩი გამართეს. აქედან მათ მოიგეს 13 შეხვედრა, 2 ფრედ დაამთავრეს და 5 წააგეს. ამ შედეგებს თვით ბრაზილიელები საკმაოდ პეზიმისტურად აფასებენ. ისინი თვლიან, რომ ახლანდელი ნიმუშის ნაკრები ჯერ კიდევ არ არის მზად კოლუმბიის, ვენესუელისა და პარაგვაის გუნდებთან შესარჩევი შეხვედრებისათვის, რომლებიც მომდინარე წლის აგვისტოში უნდა გაიმართოს.

დადის ხმები ნაკრების ხელმძღვანელობის შეცვლის შესახებ. ა. მორეირას განსაკუთრებით აკრიტიკებენ დასავლეთ გერმანიის, ინგლისგაინის და მექსიკის გუნდებთან არასახარბიელო თამაშისათვის. ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა ნაკრების მომზადების ახალი გეგმა. ორი კვირის განმავლობაში ექიმების მეთვალყურეობით ფიზბურთელები კურორტზე დაიკავებენენ, შემდეგი ორ კვირა კი დაეთმობა ფიზიკურ მომზადებას. სწორედ ეს უბანი მიაჩნიათ ბრაზილიელებს ყველაზე სუსტ რგოლად. მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებიან ფეხბურთელები ბუთითი ვარჯიშს.

ასეთია ბრაზილიის ნაკრების გეგმები, პრობლემები. რაც შეეხება საკლუბო გუნდს, აქ სანიმუშოდ „სანტოსი“, ანუ ელეს გუნდი ითვლება, რომელმაც პირველობა არავის დაუთმო როგორც ჩემპიონატებში, ისე ტურნირებში. „სანტოსის“ ასეთი წარმატება ბევრად განაპირობა ელეს ჩინებულმა სპორტულმა ფორმამ. გასულ სეზონში მან 53 ბუთი გაიტანა.

ᲠᲐᲓᲘᲝ

ᲙᲕᲘᲠᲐ, 12 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 08.25 — გადაცემათა პროგრამა, 08.30 — პოპულარული საოპერეტო მუსიკა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.40 — გადაცემათა პროგრამა, 11.45 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები ო. კუზნეცოვას შესრულებით, 12.05 — მუსიკალური რადიოფაფა, 12.30 — რადიოლიტერატურული „ფიზკულტურა და სპორტი“, 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-სუფთარი „ხელოვანი და დრო“ (გადაცემა პირველი), 14.00 — მოსწავლეთათვის „ბურატინოს თავგადასავალი“. რადიოდადგმა (ნაწილი პირველი), 15.00 — „მეგობრების კონცერტი“. ტრანსლაცია ბაქოდან, 15.40 — „ახალი წიგნები“, 16.15 — რადიოლიტერატურული საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — გ. სვირიდოვი. სიმღერები, 17.30 — საუბარი „ვ. ი. ლენინი რელიგიის შესახებ“, 17.45 — მეჩონგურე ქალთა ანსამბლების კონცერტი, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 19.00 — „გმირული ფურცლები“ (მოსკოვი), 19.40 — ე. ჯაბადარი. ქართული რაფსოდია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — საერთაშორისო კომენტატორი (მოსკოვი), 20.30 — ვ. დარასელი. „კიკვიძე“. რადიოდადგმა, 21.30 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 22.50 — ალინკოვი. ფორტეპიანო „ბალინა“, 23.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 23.30 — საესტრადო მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

● **ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 11 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ**

09.25 — გადაცემათა პროგრამა, 09.30 — დაუწერელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — კინონარკვევი, 11.20 — სკოლამდელთათვის „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.30 — სატელევიზიო ოპერა „გამზრდელი“ (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 12.10 — „ტელეანორამა“, 12.40 — ცენტრალური ტელევიზიის დადგმა „სოლარისი“ (I და II სერია), 14.50 — გადაცემა „სპორტული სვანეთი“, 15.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ყურადღება, ვიღებთ!“, 2. 18.25 — „ჩვენი კინოდარბაზი“, 3. 18.55 — გადაცემა „ნატვრის ხე“, 19.15 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „ჩემი და შენი თანატოლი“. (4 იანვრის გადაცემის ვამეორება), 19.50 — ნახატი ფილმი, 20.10 — მსოფლიო დღეს, 20.40 — გადაცემა ციკლიდან „მსოფლიოს გმოჩენილი კომპოზიტორები“ — მორის რაველი, 21.40 — საინფორმაციო პროგრამა „მომბე“, 22.05 — ქართული მხატვრული ფილმი „უკანასკნელი მასკარადი“.

● **ᲙᲕᲘᲠᲐ, 12 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ**

06.25 — გადაცემათა პროგრამა, 09.30 — დაუწერელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხატვნელობით გეომეტრიაში, 10.30 — სკოლამდელთათვის „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 10.40 — მხატვრული ფილმი ბავშვებისათვის „შფოთიანი დღე“, 12.00 — საახალწლო სანახაობა — ტრანსლაცია თბილისის სახელმწიფო ცირკიდან, 15.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1932 წელი (ქართულ ენაზე), 16.00 — „კინოფაფა“, 16.30 — კინონარკვევი, 16.50 — ბათუმის პიონერთა პარკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „გაზაფხულის“ კონცერტი, 17.30 — ციკლიდან „კანონი და კანონიერება“ 18.00 — ახალი ამბები, 18.15 — სამოყალაქო ომის გმირები, 18.30 — გადაცემა „საბჭოთა არმიის ეფემერებისათვის: „მუდამ წინა ხაზზე“, 19.30 — მუსიკალური ფილმი „სურიკოვები გამოფენიდან“, 20.00 — საბჭოთა კავშირის პირველობა ალპინიზმში — „დინამო“ თბილისი — „ლოკომოტივი“ ალმა-ატა, 21.30 — ვიისაუბროთ ქართულ ტელევიზიაზე, 22.45 — საკვირაო გასართობი პროგრამა, 23.15 — შვიდი დღე — საერთაშორისო პროგრამა.

● **ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 13 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ**

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — ბავშვებისათვის. „მოდი, ზღაპარო!“, (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — კინონარკვევი, 11.45 — რუსეთის ხმები“ — ხალხური მუსიკალური საკრავები (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — მხატვრული ფილმი „სულიკო“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — განსახადებები, 18.30 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 18.50 — „იყო და არა იყო რა“..., 19.00 — საქართველოს ტელევიზიის ფერადი პროგრამა: ბავშვებისათვის — „ბაცოცხლებული ნახატები“, და მულტიპლიკაციური ფილმები, 19.30 — კინონარკვევი, 19.40 — გადაცემა ბეეთ ლორენფანიძე, 19.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.15 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.20 — „მუსიკალური კალენდარი“, 21.20 — გადაცემა „ვიეტნამელი ახალგაზრდობის მხარდასაჭერად“, 21.30 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — მხატვრული ფილმი „სულიკო“.

● **ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 14 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ**

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.25 — კინონარკვევი, 11.45 — „დაუმთავრებელი სიმფონია“. — სატელევიზიო მუსიკალური სპექტაკლი (გადმოცემა ნოსკოვიდან), 13.15 — ბავშვებისათვის. „ტელეგმოდნა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები და რეკლამა, 18.45 — „ჩვენი სახელოვანი წინაპრები“, 19.00 — „ცხოვრითა სამყაროში“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 19.30 — კინონარკვევი, 19.50 — გადაცემა „თბილისის ხარაჩოები“. 20.15 — მოამბე — „საინფორმაციო პროგრამა“, 20.40 — ქართული მხატვრული ფილმი „მაია წყნეთელი“. 22.15 — „ქართული თეატრის დღე“.

● **ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 15 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ**

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „ᲒᲛᲘᲠᲗᲐ“ — სატელევიზიო ალმანახი (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.55 — გადაცემა „თბილისის ხარაჩოები“ (14 იანვრის გადაცემის ვამეორება), 12.20 — ქართული მხატვრული ფილმი „მაია წყნეთელი“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — კალეიდოსკოპი — მუსიკალური პოპულარული პროგრამა (გადმოცემა ლენინგრადიდან), 19.00 — „პიონერული თამაში „კეთილ საქმეთა ყულაბა“, 19.10 — გადაცემა — „ეზებსა და გზაჯვარედინებზე“, 19.35 — საუბარი სამედიცინო თემაზე — „ზოგიერთი სიახლე გულსისხლძარღვთა დაავადების მკურნალობაში“, 19.55 — ვერდის ოპერა „აიდა“. ტრანსლაცია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. შესვენების დროს და ტრანსლაციის შემდეგ — საინფორმაციო პროგრამა „მომბე“.

● **ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 16 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ**

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — „ᲐᲮᲚᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲒᲖᲘᲡᲐᲜ“ — რეპორტაჟი ოდესის საზღვაო პორტიდან (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — ბავშვებისათვის. „ტოროლა“ — მუსიკალური პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ბავშვებისათვის. „გაკაკეთეთ ჩვენთან ერთად. ჩვენსავით, ჩვენზე უკეთ“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 17.30 — გადაცემათა პროგრამა, 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — ბავშვებისათვის. მხატვრული ფილმი „კატია ღა ნიანგი“. 19.00 — კამერული მუსიკის კონცერტი, 19.30 — გადაცემა ციკლიდან „სტანდარტული, ესე იგი საუკეთესო, 20.00 — კალათბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „დინამო“ თბილისი — ცსკა, 21.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი — მხატვრული ფილმი „ომი და მშვიდობა (III სერია), 22.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

● **ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 17 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ**

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის. „ბუნების საოცრებანი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.40 — პოლონური მხატვრული ფილმი „დამნაშავე კვალს ტოვებს“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 18.55 — „ეკვენზე ფიქრებში“, 19.35 — კინონარკვევი, 19.55 — „ახალი ტექნიკა — სოფელს“, 20.15 — კინონარკვევი, 20.35 — კონცერტი, 21.15 — კინონარკვევი, 21.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. „შეფობა გრძელდება“ 22.15 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა. მინიატიურების სატელევიზიო თეატრი — „ცამეტი სკამი“, 23.15 — სპორტული მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან). 23.45 — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან). 00.45 — „მხოლოდ ფაქტები“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ᲚᲐᲙᲐᲠᲐᲙᲝᲒᲡ ᲓᲐ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

11 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახ